



Empowered lives.
Resilient nations.

გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა
და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით
ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში
ბიომრავალფეროვნების მოდულის მიერ სისტემისათვის
მისაცემი დავალებები

ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში

2016 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის ხელი მოეწერა სტანდარტული შეთანხმების წერილს პროექტის - “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ განხორციელების შესახებ. პროექტი ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

დავალებები (Requests) რომლებიც მოთხოვნილი იქნება ბიომრავალფეროვნების კონვენციის მოდულში

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მოდული იყოფა სხვადასხვა ტიპის ქვემოდულებად.

ქვემოდულები გამოიყოფა:

- თემატური მიმართულებების მიხედვით (სახეობები, ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობა და ა.შ.),

- კონვენციის 5 გლობალური მიზნისა და აიტის 2020 წლების მიზნების მიხედვით,

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული და საერთაშორისო დონეზე მიღებული მოდელის - ზეწოლა/მდგომარეობა/რეაგირება (Pressure / State / Response) შესაბამისად.

სისტემა უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ მოხდეს ქვემოდულების მიხედვით ინდიკატორებისა და შესაბამისი მონაცემების გადაჯგუფება.

ქვემოთ, სისტემაში შემავალი დავალებები ჩამოყალიბებულია შემდეგი თემატური მიმართულებების მიხედვით:

ქვემოდული 1 - სახეობები და ჰაბიტატები

ქვემოდული 2 - დაცული ტერიტორიები

ქვემოდული 3 - ტყის ეკოსისტემები

ქვემოდული 4 - შავი ზღვა და მტკნარი წყლის ეკოსისტემები (ამოღებულია)

ქვემოდული 5 - ნადირობა და თევზჭერა

ქვემოდული 6 - სოფლის მეურნეობა და აგრობიომრავალფეროვნება (ამოღებულია)

ქვემოდული 7 - ბიოუსაფრთხოება

ქვემოდული 8 - საზოგადოების ცნობიერება და განათლება (ამოღებულია)

ქვემოდული 9 - ფინანსური რესურსები

ქვემოდული 1 - სახეობები და ჰაბიტატები

დავალება 1.1. - დავთვალოთ ცხოველის მითითებული სახეობის ან სახეობათა ჯგუფის (მაგალითად, ირემი, ზუთხისებრნი) რიცხოვნობის ცვლილება დროის მითითებულ მონაკვეთში და ავაგოთ შესაბამისი დიაგრამა.

დავალება 1.2. - მომზადდეს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველის მითითებული სახეობის ან სახეობათა ჯგუფის არეალის ან შეხვედრის ადგილების რუკა GIS-ში.

დავალება 1.3. - მომზადდეს საქართველოს ტერიტორიაზე მცენარის მითითებული სახეობის არეალის რუკა GIS-ში.

დავალება 1.4. - მომზადდეს ინფორმაცია მითითებულ სახეობაზე (ან სახეობათა ჯგუფზე), რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ტაქსონომია, კონსერვაციული სტატუსი, ეკონომიკური მნიშვნელობა, მიმდინარე/განხორციელებული პროექტი, კონტაქტი, მონიტორინგის მეთოდიკა და შედეგები, რეკომენდაციები, მენეჯმენტის გეგმა, ფოტომასალა და არეალის რუკა.

დავალება 1.5. - მომზადდეს ინფორმაცია კონსერვაციისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების შესახებ (ზურმუხტის ტერიტორიები, ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიები), რომელიც მოიცავს: ადგილის რუკას, დასახელებას, კოორდინატებს, ფართობს, ეკოლოგიურ მახასიათებლებს, დაცვის სტატუსს, მენეჯმენტის გეგმას.

დავალება 1.6 - მომზადდეს სახეობების ტაქსონომიური ჯგუფების მიხედვით გამოქვეყნებული ნომენკლატურული სიების ჩამონათვალი (მაგალითად, საქართველოში გავრცელებული ცხოველთა და მცენარეთა ჯგუფებიდან, რამდენი ჯგუფის ნომენკლატურული სია არის გამოქვეყნებული);

დავალება 1.7 (1.9) - დაითვალოს CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშებით ვაჭრობის (ექსპორტი, იმპორტი, რე-ექსპორტი) შემთხვევები დროის მითითებული პერიოდისათვის, სახეობების/ნიმუშების მიხედვით, ექსპორტის, რე-ექსპორტისა და იმპორტის მიხედვით, ნიმუშების რაოდენობის, წყაროს, ვაჭრობის მიზნების მიხედვით;

დავალება 1.8 (1.10) - მომზადდეს CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების არალეგალური ვაჭრობის შესახებ მონაცემები დროის მითითებული პერიოდისათვის ნიმუშების მიხედვით, კონფისკაციების შემთხვევების მითითებით.

ქვემოდული 2 - დაცული ტერიტორიები

დავალება 2.1 (2.4) – დაითვალოს ურთიერთდაკავშირებული დაცული ტერიტორიებისა და ეკოკორიდორების რაოდენობა და პროცენტი, ასევე ეკოკორიდორების ფართობი და პროცენტი, რომელიც მოიცავს დაცულ ტერიტორიას ან არის სხვაგვარად დაცული კანონმდებლობით და მომზადდეს შესაბამისი რუკა GIS-ში.

დავალება 2.2 (2.5) - დაითვალოს კატეგორიების მიხედვით დაცული ტერიტორიების რაოდენობა წლების მიხედვით, სადაც არის თანამშრომლობა მეზობელ ქვეყანასთან ერთობლივი პროგრამის, მართვის გეგმის საშუალებით ან სხვა ფორმით.

დავალება 2.3 (2.6.) - დაითვალოს კატეგორიების მიხედვით დაცული ტერიტორიების რაოდენობა და პროცენტი წლების მიხედვით, რომელთაც აქვთ ადმინისტრაცია, დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა, სრულად რეგისტრირებული საზღვარი, იდენტიფიცირებული საზღვარი, კანონმდებლობით დადგენილი ბუფერული ზონა, ასევე, დატრენინგებული რეინჯერების რაოდენობა და %, დატრენინგებული მენეჯერების რაოდენობა და პროცენტი, დაცული ტერიტორიების რაოდენობა და პროცენტი განვითარებული ინფრასტრუქტურით და ინფრასტრუქტურის გარეშე. დაცულ ტერიტორიებში დასაქმებულთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით; აქვე უნდა იქნეს მიმაგრებული შესაბამისი დოკუმენტები (მენეჯმენტის გეგმა (დამტკიცებული ან სამუშაო ვერსია))

დავალება 2.4 (2.7.) - დაითვალოს კატეგორიების მიხედვით დაცული ტერიტორიების რაოდენობა და პროცენტი წლების მიხედვით, რომელიც არიან ფრაგმენტაციის საფრთხის წინაშე არსებული ან განვითარებადი ინფრასტრუქტურის, დაგეგმილი ინფრასტრუქტურის გამო, და სადაც განხორციელდა უარყოფითი ზეგავლენის შემცირების ღონისძიებები; მოცემული იქნეს ინფორმაცია ინფრასტრუქტურაზე, განვითარების ეტაპზე, შემარბილებელ ღონისძიებებზე.

დავალება 2.5 (2.8.) - დაითვალოს დაცული ტერიტორიების რაოდენობა და პროცენტი, რომელთაც აქვთ მოქმედი საკონსულტაციო საბჭოები, ნაჩვენები იქნეს დინამიკა წლების მიხედვით, მოცემული იქნეს დოკუმენტი საკონსულტაციო საბჭოს დაფუძნებისა და შემადგენლობის თაობაზე;

დავალება 2.6 (2.9.) - დაითვალოს რეინჯერების და დაცული ტერიტორიების დირექტორებისა და პროგრამების/სამსახურების უფროსების საშუალო ხელფასი წლების მიხედვით და მომზადდეს ტენდეციის დიაგრამა;

დავალება 2.7 (2.9.) - დაითვალოს დაფინანსების ოდენობა 1 ჰა დაცულ ტერიტორიაზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დონორი ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან და ჯამურად) და მომზადდეს ტენდეციის დიაგრამა.

დავალება 2.8 (2.10) - დაითვალოს დაცული ტერიტორიების რაოდენობა, რომელთა

მართვის ეფექტურობა შეფასებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიით წლების მიხედვით ((IUCN- WCPA, WB, WWF); აქვე უნდა იქნეს მიმაგრებული ეფექტურობის შეფასების შესახებ შესაბამისი ანგარიში;

დავალება 2.9 (2.11) - დაითვალოს კატეგორიების მიხედვით დაცული ტერიტორიების რაოდენობა და პროცენტი, სადაც არის მონიტორინგის სპეციალური სამსახური, მონიტორინგის პროგრამა ან „ბუნების მატთან“ მსგავსი პროგრამა; და რომელთაც აქვთ ხელშეკრულება უნივერსიტეტებთან სამეცნიერო კვლევაზე; აქვე უნდა იქნეს მიმაგრებული „ბუნების მატთან“, მონიტორინგის ანგარიშები, განხორციელებული კვლევების ანგარიშები ან თეზისები.

დავალება 2.10 (2.12) - დაითვალოს ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე (ჯამურად, ცალ-ცალკე, კატეგორიებისა და წლების მიხედვით) და მომზადდეს ტენდეციის ამსახველი დიაგრამა.

ქვემოდული 3 - ტყის ეკოსისტემები

დავალება 3.1 - დაითვალოს ცვლილება ტყის ფართობში (ქვეყნის, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით; ბუნებრივი ტყეები და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეებით დაფარული ფართობი (ბუნებრივი ტყეების და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეების წილის ცვლილება ტყის საერთო ფართობთან მიმართებაში). მომზადდეს ტყის ფართობის ცვლილების ამსახველი რუკები;

დავალება 3.2 - დაითვალოს ჭრისთვის გამოყოფილი ტყეების ფართობის ცვლილება (ტყის ფართობი წლების მიხედვით, სადაც დაშვებულია სამერქნე და საშემე მერქნის დამზადება სატყეო უბნების მიხედვით) ქვეყნის, რეგიონების, მუნიციპალიტეტების მიხედვით;

დავალება 3.3 - დაითვალოს ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა სატყეო უბნებისა და წლების მიხედვით;

დავალება 3.4 - დაითვალოს წლის მანძილზე უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის მოცულობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, სახეობების მიხედვით, ცალ-ცალკე დაცულ ტერიტორიებზე და სამეურნეო ტყეებში; დაითვალოს ჯარიმების და მიყენებული ზიანის რაოდენობა, მათ შორის გადახდილის;

დავალება 3.5 - დაითვალოს დაავადებული ტყის ფართობი ქვეყნის, რეგიონების და მუნიციპალიტეტების მიხედვით; დაავადების გამომწვევი აგენტების მიხედვით; მომზადდეს შესაბამისი რუკები GIS-ში;

დავალება 3.6 - დაითვალოს ტყის ხანძრის შემთხვევათა რაოდენობა და ხანძრით მოცული ტყის ფართობი ქვეყნის, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით;

დავალება 3.7 - დაითვალოს თესვა/დარგვითა და ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობით აღდგენილი და გაშენებული ტყის ფართობები ქვეყნის, რეგიონისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით და მომზადდეს ტრენდის ამსახველი დიაგრამა;

დავალება 3.8 - დაითვალოს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი საშუალო ხელფასები (ცალ-ცალკე მენეჯმენტის დონეებისათვის) და მომზადდეს ტენდეციის ამსახველი დიაგრამა;

დავალება 3.9 - დაითვალოს ტყის მართვისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები ბიუჯეტიდან, დონორების მიერ, კერძო სექტორიდან და სულ წლების მიხედვით და მომზადდეს ტენდეციის ამსახველი დიაგრამა.

ქვემოდული 5 - ნადირობა და თევზჭერა

დავალება 5.1. - დაითვალოს მითითებულ შიდა წყალსატევში/წყალსატევებში თევზჭერის კვოტები და ფაქტიური ჭერები სახეობების მიხედვით დროის მითითებული პერიოდისათვის და აიგოს დიაგრამა;

დავალება 5.2. - დაითვალოს შავ ზღვაში თევზჭერის ლიმიტები და ფაქტიური ჭერები თევზის სახეობების მიხედვით დროის მითითებულ მონაკვეთში და აიგოს ტენდეციის ამსახველი დიაგრამა;

დავალება 5.3 - დაითვალოს უკანონო თევზჭერის გამოვლენილი შემთხვევები შავ ზღვაში და შიდა წყალსატევებში, (მოთხოვნის მიხედვით ცალ-ცალკე), დაცულ ტერიტორიებსა და მათ გარეთ, მათ შორის - რა სახის დარღვევას ჰქონდა ადგილი (მაგალითად, ელექტროდენის ან ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენების შემთხვევები), უკანონოდ მოპოვებული თევზის სახეობები და ოდენობები, ჯარიმებისა და მიყენებული ზიანის ოდენობები;

დავალება 5.4 – მომზადდეს სამონადირეო მეურნეობების ინტერაქტიური რუკა, სადაც მოცემული იქნება მათი მდებარეობა, ლიცენზიის მფლობელი, ლიცენზიის ვადა, სამონადირეო მეურნეობის ფართობი, სანადირო სახეობების აღრიცხვის შედეგები, დამტკიცებული კვოტები და ფაქტიური მოპოვება მითითებული პერიოდისათვის;

დავალება 5.5 - დაითვალოს მითითებული სანადირო სახეობის პოპულაციის დინამიკა მითითებული პერიოდისათვის ეროვნულ დონეზე, ცალკეული სამონადირეო მეურნეობების/ადგილების მიხედვით;

დავალება 5.6 - მტაცებელ ცხოველთა თავდასხმის შემთხვევებისა და „გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის“ საფუძველზე მოპოვებულ ინდივიდთა რაოდენობის ტენდეციის ამსახველი დიაგრამა სახეობებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ქვემოდული 7 - ბიოუსაფრთხოება

დავალება 7.1. - აიგოს გარემოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოთავისუფლების ტენდენციის ამსახველი დიაგრამა ჯამურად ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე, ან ჩაშლილად, გენმოდიფიცირებული ჯიშების მიხედვით, მუნიციპალიტეტების მიხედვით, კულტივირების ფართობებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ;

დავალება 7.2. - აიგოს ჩაკეტილ სისტემებში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების ტენდენციის ამსახველი დიაგრამა დროის მითითებული მონაკვეთისათვის, ან მომზადდეს ჩაკეტილ სისტემებში გმო-ს გამოყენების ცხრილი გმო-ს მახასიათებლები, ჩაკეტილი სისტემის ადგილმდებარეობა.

ქვემოდული 9 - ფინანსური რესურსები

დავალება 9.1 - დაითვალოს დანახარჯები ბუნების დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გარე დახმარებიდან წლების მიხედვით დროის მითითებული პერიოდისათვის, აიგოს შესაბამისი დიაგრამები.